ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7970499

ნომერი: AR11147675

თარიღი : 15.06.2026

გაცემის თარიღი : 22.06.2026

გაცნობის თარიღი : 22.06.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი წერეთლის გასასვლელი, N 1-3/ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 45;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო დობორჯგინიძე პ/ნ 01017009009
- თბილისი ტიციან ტაბიძის ქ. N 14 ბ. 1

ორგანიზაცია:

- სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი" კოდი: 204861970

ნომენკლატურა :

- I კლასი
- გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრება რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, გიორგი წერეთლის გასასვლელი, №1-3/ილია ჭავჭავაძის გამზირი №45-ში, შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“-ს და სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს კუთნილი შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრება) განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების დანართი 1-ის თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საკადასტრო მონაცემები № 01.14.07.010.033 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. № 882026457857 01/06/2026წ; არსებული ფოტო, ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზი.) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, გიორგი წერეთლის გასასვლელი, №1-3/ილია ჭავჭავაძის გამზირი №45-ში, შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“-ს და სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს კუთნილი შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრება) განხორციელების შესაძლებლობას.

ასევე გაცნობებთ რომ დროებითი გამაგრების შემდგომ, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ, რის საფუძველზეც საჭიროა შეთანხმდეს გამაგრების პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა (შესაბამისი კონსტრუქციული დასკვნის საფუძველზე დამუშავებული სქემის საფუძველზე, შესაბამისი დეტალიზაციით);

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.